სოფლის მეურნეობისა და ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის სამსახურის 2023 წლის ანგარიში

სოფლის მეურნეობისა და ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის სამსახური აქტიურადაა ჩართული მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სპორადული რეგისტრაციის სახელმწიფო პროექტში, რომლის ფარგლებშიც 2023 წლის განმავლობაში შემოვიდა 301 წერილი, რომელზეც შესაბამისი ვადების ფარგლებში მომზადდა საპასუხო და შუალედური წერილები.
ჩვენი სამსახურის 6 თანამშრომელი არის ლაგის წევრი, მათ შორის 3 აღმასრულებელი საბჭოს წევრი.

საქართველოს მინერალური რესურსების სააგენტოდან შემოსულ 17 წერილზე მომზადდა შესაბამისი ოქმები და საპასუხო წერილები.
სამსახურის ყველა თანამშრომელი ჩართულია მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრები პირებისათვის სტატუსის მინიჭებაზე. 2023 წლის განმავლობაში ჩატარდა 11 კომისიის სხდომა. სხდომებზე განხილულ იქნა 289 განცხადება, რომელთაგან კომისიის გადაწყვეტილებით 266 ადამიანს მიენიჭა, 23 პიროვნებას უარი ეთქვა, ხოლო 117 პირს სამოქალაქო რეესტრიდან შემოსული ინფორმაციის შესაბამისად, გარდაცვალების და რეგისტრაციის ადგილის შეცვლის გამო, შეუწყდათ სტატუსი.

ჩვენს მიერ ეტაპობრივად ხდება იმ მოქალაქეების პირადი ინფორმაციის მოძიება და გაგზავნა „ლიბერთი“ ბანკის ბაზებში ვინც ვერ მოხვდნენ საწვავი შეშით მოსარგებლეთა სიაში. 2023 წლის განმავლობაში გაიგზავნა 83 ახალი ბენეფიციარის მონაცემები.

საქართველოს პარლამენტის აგრარული კომიტეტის მიერ, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი შეირჩა როგორც საპილოტე აგრო რეგიონი და მომზადდა განსახორციელებელი რეკომენდაციების პაკეტი, რომლის თანახმად, შეიქმანა სამუშაო ჯგუფი და დაიწყო თანამშრომლობა სამინისტროებთან, აღნიშნული რეკომენდაციების შესასრულებლად.

საქართველოს ტურიზმის ეროვნულ სააგენტოსთან თანამშრომლობით (ტრადიციულად) ჩატარდა ტრენინგები, რომელიც მიმართული იყო ბენეფიციარების ცნობიერების ამაღლებისა და პრაქტიკაში გამოსაყენებელი უნარ-ჩვევების შეძენისათვის.

განყოფილების მიერ, დაორგანიზებული ტრენინგების შედეგად, 2023 წელს, კვალიფიკაცია აიმაღლა და სერთიფიკატი მიიღო 143-მა მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა ტურიზმის ინდუსტრიაში ჩართულმა და დაინტერესებულმა პირმა. განახლდა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ტურისტული რესურსების ბაზა.

არსებული მარშრუტების განსაახლებლად დასურათდა დღევანდელი მდგომარეობით ბუნებისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, საპიკნიკე სივრცეები, ახალი მომსახურეობის ობიექტები.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ტურისტული რესურსების პოპულარიზაციისა და რეკლამირების მიზნით, მერია თანამშრომლობს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების ტურიზმის კათედრებთან. ახალ უმაღლეს სასწავლებელთან ერთად, ფლორენციის სიმონე დელ ბიანკოს ფონდის ,, ტურიზმი საზღვრების გარეშე“ საერთაშორისო პროექტში ,,ფლორენცია მსოფლიოში და მსოფლიო ფლორენციაში“ მონაწილეობის მიზნით, ჩატარდა ერთობლივი სამუშაოები.

განყოფილებამ, ტურისტული ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად, იმუშავა და შეადგინა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ათი გაციფრულებული ტურისტული მარშრუტის საპროექტო წინადადება.

პროექტი ,,თეთრიწყაროს მატეანე“

ეკონომიკის, მცირე ბიზნესისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის განყოფილებამ, შეიმუშავა და განახორციელა პროექტის ,,თეთრიწყაროს მატეანე“ პირველი ეტაპი. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების მერის წარმომადგენლებთან ერთობლივი მუშაობის შედეგად, გამოვლინდნენ ტურისტულად საინტერესო ახალი ობიექტები და მეწარმეები, რომლებიც გათვალისწინებულები იქნებიან ტურისტულ მარშრუტებში.

2023 წლის სექტემბერ-ოქტომბრის თვეებში, გეგმა-გრაფიკის მიხედვით, სამუშაო ჯგუფმა, ოცივე თემში ჩატარებული კვლევის შედეგად, ტურისტულად საინტერესო ოცდაათი ლოკაცია მოინახულა, მეწარმეებს გაეწია კონსულტაცია-რეკომენდაციები, თუ როგორ გახდება მათ ხელთ არსებული რესურსი, მეტი ეკონომიკური სარგებლის მიღების საშუალება.

მიმდინარე წლის დეკემბრის თვეში, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, ათეა-ს საუკეთესო პრაქტიკის პროგრამის ეროვნულ კონფერენციაზე, წარდგენილ იქნა, პროექტი ,,თეთრიწყაროს მატეანე“, საკონკურსო თემა-,,კერძო-საჯარო დიალოგი პარტნიორობა ადგილობრივ დონეზე“.

ეკოტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, შემუშავდა ალგეთის დაცული ტერიტორიების მდგრადი განვითარების გენერალური გეგმის პროექტი. აღნიშნული დოკუმენტის შემუშავების პროცესში, თანამშრომლები აქტიურად იყვნენ ჩართულები.

სამსახურის დებულებიდან გამომდინარე ვთანამშრომლობთ სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან და შესაბამის სამინისტროებთან სოფლის მეურნეობის, ტურიზმის და ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით. ასევე დებულებით განსაზღვრული მოვალეობების გარდა ჩვენი სამსახური ასრულებს რამოდენიმე დელეგირებულ უფლებამოსილებას და ხელმღვანელობის სხვა დავალებებს.